ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4465163

ნომერი: AR1670626

თარიღი : 04.04.2019

გაცემის თარიღი : 17.04.2019

გაცნობის თარიღი : 18.04.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ვაჟა-ფშაველას გამზირი N70;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან მესხელი პ/ნ 01008030756
- ი.აბაშიძის ქ.31

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 05 იანვრის №3761817 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 04 აპრილს №AR1670626 განცხადებით მომართა ლევან მესხელმა. განმცხადებელმა მოითხოვა ქ. თბილისის

მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 05 იანვრის №3761817 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2018 წლის 05 იანვრის №3761817 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N70, შპს "აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯია"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი N01.14.03.038.040) მრავალფუნქციური კომპლექსის/შენობა (სავაჭრო ცენტრი) არქიტექტურული პროექტი. გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 5 იანვრიდან 2021 წლის 5 იანვრის ჩათვლით.
წარმოდგენილი განაცხადით, განმცხადებელი განმარტავს, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 05 იანვრის №3761817 ბრძანებით შეთანხმებული გეგმებზე ფართების და ნიშნულების მითითებასთან დაკავშირებით დაშვებულია ტექნიკური შეცდომა და შესაბამისად, ითხოვს სამსახურის 2018 წლის 05 იანვრის №3761817 ბრძანებით შეთანხმებული გეგმების ჩანაცვლებას 2019 წლის 04 აპრილს №AR1670626 განცხადებაზე წარმოდგენილი გეგმებით.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი გეგმა - ნახაზები შეადარა შეთანხმებულ გეგმა-ნახაზებს და დაადგინა, რომ სამსახურის 2018 წლის 05 იანვრის №3761817 ბრძანებით შეთანხმებულ გეგმებზე ფართებთან და ნიშნულებთან დაკავშირებით დაფიქსირდა ტექნიკური შეცდომა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 05 იანვრის №3761817 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 05 იანვრის №3761817 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდეს 2019 წლის 04 აპრილს №AR1670626 განცხადებაზე წარმოდგენილი გეგმებით.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 05 იანვრის №3761817 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 05 იანვრის №3761817 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.